ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

27 (9918) • 4 ivlisi • 2011 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„თუ დაპირებებს არ შეასრულებენ, იქნება შესაბამისი რეაგირება“

ნინო ნიკოლაიშვილი, მარი კოძოევი

გურიის გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს გასულ პარასკევს შევხვდით და ახლახან მის მიერ გამართული თათბირის გარშემო და გურიისათვის სხვა აქტუალურ საკითხებზე დავუსვით შეკითხვები. ვინაიდან გაზეთი „ალიონი“ ამ თათბირს არ ესწრებოდა, გუბერნატორს თათბირის თემატიკის გამეორება მოუწია. მან „ალიონთან“ განაცხადა, რომ ჟურნალისტები აქტიურად ჩაერთვებიან ინფრასტრუქტურის მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგში.

—ბატონო ვალერი, თქვენ ახლახან თათბირი ჩაატარეთ გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისა და ჟურნალისტებისათვის. სადაც საუბარი გქონდათ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. რა დაიგეგმა და რა სამუშაოებია დღეისათვის განხორციელებული?

— შევხვდი მუნიციპალიტეტების გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს ჟურნალისტების თანდასწრებით, რათა მათი მეშვეობით მოსახლეობისთვის მიმეწოდებინა ინფორმაცია იმ სამუშაოების შესახებ, რომელიც განხორციელდა სამივე მუნიციპალიტეტში. აქ ძირითადად საუბარი იყო იმ დაგეგმილ, თუ დასაგეგმ სამუშაოებზე, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას სხვადასხვა სოფლებში. არის საუბარი, რომ ოზურგეთში, რამდენიმე ქუჩაზე დაიგება ახალი ასფალტის საფარი. ტენდერი უკვე დამთავრდა და გამოვლინდა გამარჯვებული. შესაბამისად ჩვენ ვაგრძელებთ ქალაქის ქუჩების მოასფალტებას პირველ რიგში იქ, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციებია მოწესრიგებული. ასევე გავაკეთეთ შუამავლობა მთავრობასთან, რომ არსებული კარიერებიდან მოსაპოვებელი ინერტული მასალა, სამთო იქნება თუ მდინარიდან მოსაპოვებელი, მუნიციპალიტეტებისთვის იყოს უფასო. რათა მცირე დანახარჯებით მოვახდინოთ სოფლების გზების კარგად შეკეთება, იქ, სადაც ასფალტის დაგებას არ ვაპირებთ და მართლა არის პრობლემები, მაგალითად: მთისპირი, ასკანა, კონჭკათი, თხინვალი და ა.შ. პროცესი დაწყებულია და მალე დამთავრდება. რაც შეეხება მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას, სამივე მუნიციპალიტეტში დავავალე მოეწოდებინათ ინფორმაცია, არსებული მდგომარეობის შესახებ. მაგალითად პრობლემა იყო ექადიაზე. რაც გადაწყვეტილია. ჩატარდა ტენდერი და წყლის კომპანია და მუნიციპალიტეტი ერთობლივად განახორციელებს ამ პროექტს. რაც შეეხება ანასეულის წყალმომარაგებას, ზაფხულის პერიოდში ლიმიტი არ ჰყოფნის და არის ხარვეზები. ჩოხატაურში სამუშაოების მესამე ეტაპია და ფაქტიურად უკვე სრულყოფილად მიმდინარეობს დაბის წყალმომარაგება. ეს გულისხმობს, როგორც სათავე ნაგებობების მოწყობას, ასევე რეზერვუარებისა და ცენტრალური მაგისტრალის გაკეთებასა და შიდა დაქსელვას. რაც შეეხება ოზურგეთს, გაკეთდა სათავე ნაგებობა და ცენტრალური მაგისტრალი, მაგრამ შიდა ქსელები ბოლომდე გაკეთებული არ არის. წყლის კომპანია აპირებს, რომ დაიწყოს ამისი რეაბილიტაცია. რაც სავარაუდოდ სექტემბრიდან დაიწყება როგორც ოზურგეთში, ასევე ლანჩხუთშიც.

ასევე მუშაობა მიმდინარეობს გაზიფიცირებისა და ელექტროენერგიის გამრიცხველიანებისათვის. სოფ. გურიანთის მოსახლეობას ჩვენ შევპირდით გაზიფიცირებას, ვფიქრობ პრობლემა არ იქნება. რაც შეეხება ელექტროენერგიის გამრიცხველიანებას, იგი პირველ რიგში მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ჩატარდება.

გვ-2

„ერთვნული გამოცდები დაიწყო

მარი კოძოევი

მთელი ქვეყნის მასშტაბით საგამოცდო ციებ-ცხელება უკვე დაიწყო. ერთვნულმა გამოცდებმა სტარტი 30 ივნისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით აიღო. ისევე, როგორც დანარჩენ რეგიონებსა და ქალაქებში, გურიის საგამოცდო ცენტრშიც დილის რვა საათიდან აბიტურიენტების რეგისტრაცია, ცხრა საათზე კი მიმდინარე წლის პირველი გამოცდა დაიწყო. წინა წლების მსგავსად წელსაც მეორე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია მთელი დღის განმავლობაში გულშემატკივრებით იყო სავსე. მათგან ზოგი სკოლის მოპირდაპირე შენობის აივანზე დამონტაჟებულ მონიტორზე გამოცდების მიმდინარეობას ადევნებდა თვალყურს, დანარჩენები კი განცდებითა და იმედებით სავსენი უბრალოდ ნერვიულობდნენ. აქ ნახავდით სტუდენტობის მსურველების ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს. „ალიონი“ რამდენიმე მათგანს გაესაუბრა:

ნატო კალანდაძე: — აქ ჩემი შვილიშვილის საგულშემატკივროდ ვარ. ძალიან ვნერვიულობთ მე და მთელი ჩემი ოჯახიც. რა თქმა უნდა ბავშვიც ნერვიულობდა გამოცდაზე გასვლის წინ. უნდა რომ ფილოსოფიურზე ჩააბაროს. ასარჩევი ფაკულტეტიდან შვიდივე ფილოსოფიური აირჩია. იმედია ჩააბარებს და გახდება სტუდენტი.

ნონა მაჭარაშვილი:—ჩემს შვილს საბანკო-საფინანსოზე უნდა ჩააბაროს. მან ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა დაამთავრა. მთელი ოჯახი აქ ვართ მოსულები საგულშემატკივროდ. ცოტას ვნერვიულობთ, მაგრამ იმედია მიზანს მიაღწევს.

თინათინ დარჩია:—შვილზე მეტად მე ვნერვიულობ, თავად ძალიან არ ნერვიულობდა. პატარა ბავშვიც კი წამოვიყვანეთ სახლიდან და ყველა აქ ვართ. რაც შეეხება ფაკულტეტს საერთაშორისო ურთიერთობებზე აბარებს.

მაშინ როცა გამოცდის პირველი ცვლის დასრულებამდე ბოლო წუთები იწურებოდა, ჩვენ ის აბიტურიენტი ჩავწერეთ, რომელიც მეორე ცვლაში შესასვლელად ემზადებოდა.

—სამედიცინოზე ვაბარებ, სადააცაა გამოცდაზე შევალ და საერთოდ არ ვნერვიულობ. საკუთარი თავის იმედი მაქვს, რადგან საატესტატო გამოცდებზე საკმაოდ მაღალი ქულები მივიღე. განსაკუთრებით კარგი შედეგი ინგლისურ გამოცდაში მქონდა—გვითხრა გამოცდაზე გასვლის წინ **ლანა დოლიძემ.**

გამოცდების მიმდინარეობისას სკოლის ეზოში მობილიზებულია სასწრაფო დახმარების და სახანძრო ბრიგადები. თუმცა ჯერ-ჯერობით გამოცდების მიმდინარეობისას, რაიმე სახის ინციდენტი არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ გამოცდების მსვლელობას ოზურგეთში თვალს ადევნებდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე

წელს გურიის მასშტაბით ერთვნულ გამოცდებში 581 აბიტურიენტი მონაწილეობს.

„ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს სამსახურსა და ფერმერებს შორის“

თეონა ჩხარტიშვილი

სოფლის მეურნეობაში ძალიან ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. ამ კუთხით გარკვეული ღონისძიებების გატარება ქვეყნის მასშტაბითაა დაწყებული. თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს პროცესი, ამას დრო გვიჩვენებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შარშან შემოდგომაზე შეიქმნა აიპი—სოფლის მეურნეობის განვითარების და დასაქმების ხელშეწყობი ცენტრი. იგი ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება. თუ რას აკეთებს ეს სამსახური სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის, ამაზე ცენტრის დირექტორს გიგა ხარაბაძეს გავესაუბრეთ:

გვ-2

„დახარჯულია სოლიდური თანხა, რეალობა კი არის გაუსაძლისი“

ნინო ნიკოლაიშვილი

„თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის რაიონულ ორგანიზაციაში ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს. საკითხზე, რომელიც ოზურგეთის წყალმომარაგებისა და წყლის ვარგისიანობას შეეხებოდა, ნათია ზედგინიძემ და ზაზა ცინცაძემ ისაუბრეს. მათი განცხადებით, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ოზურგეთის წყალმომარაგებაში არსებულ მდგომარეობაზე პრესკონფერენცია, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ჩაატარა მათი პარტიის გურიის რეგიონული ორგანიზაციის ლიდერმა თემურ სალუქვაძემ. ამჟამად ამ საკითხების შესწავლაში ჩართულია ასევე ახალგაზრდული ფრთაც. ნათია ზედგინიძემ ისაუბრა მათ მიერ მოკვლეული მასალების შესახებ, რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და შპს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოზურგეთის სერვისცენტრისგან“ მიიღეს. ანუ: სათავე ნაგებობის მუშაობის სეზონურობაზე, სასმელი წყლის ვარგისიანობასა და 8 საათიანი მიწოდების გრაფიკის შესახებ. მისი თქმით, შპს. „სმუ“ „ინგეკომ-მა“ 3876245 ლ. თანხის მიღების მიუხედავად ვერ შეასრულა სატენდერო წინადადებები.

— დაიხარჯა სოლიდური თანხა, რეალობა კი გაუსაძლისია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ჩავარდა. ოზურგეთის მოსახლეობას არც 8 საათიანი გრაფიკით მიეწოდება წყალი და რაც მიეწოდება, სასმელად უვარგისია.

ზაზა ცინცაძის თქმით, გაურკვეველია, რაზე მოაწერეს ხელი მაშინდელმა ხელმძღვანელებმა, როცა შესრულებული სამუშაო არ შეესაბამებოდა სატენდერო წინადადებას, საჭვოა ასევე ექსპერტიზის დასკვნაც. აქედან ისმება კითხვა,

— რამდენად მიზნობრივად და შედეგიანად ხორციელდება ხელისუფლების მიერ გაპიარებული პროექტები, როცა შედეგი სავალალოა.

მისივე თქმით, ამ საკითხზე პრესკონფერენციის გამართვას გეგმავდნენ მაისის ბოლოსთვის, მაგრამ იმჟამინდელი მოვლენების გამო ამ საკითხის განხილვა გადაიდო.

„თუ დაპირებებს არ შეასრულებენ, იქნება შესაბამისი რეაგირება

—ზაფხულის დადგომასთან ერთად კვლავ აქტიურად დაიწყო საუბარი გურიის კურორტებზე, ურეკში, გომისმთასა და ბახმაროში არსებულ პრობლემებზე, რამდენად მოესწრება მათი მოგვარება?

—ჩვენ მოვისმინეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტებიდან საკურორტო სეზონთან დაკავშირებით და გავიგეთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ. ის პრობლემები, რომლებიც არსებობს, უნდა იყოს მოგვარებული ძალიან მალე. რაც შეეხება ურეკს, იქ დასაგებია 300 კვ. მ. ახალი ასფალტი. ურეკის მთელ ტერიტორიაზე ვერ დავაგებთ ასფალტს, რადგან ჯერ წყლის და კანალიზაციის სისტემაა მოსაწესრიგებელი. რისი გაკეთებაც წელს შეიძლება, უნდა გავაკეთოთ. მე მივიღე დადასტურება მუნიციპალიტეტებიდან იმის შესახებ, რომ მათ არ აქვთ პრობლემა არც ფულის გამოყოფასა და არც თანხის რაოდენობაზე და შესაბამისად კეთილი უნდა ინებონ და ყველაფერი მოაწესრიგონ. ურეკში პრობლემა იყო ზღვაზე გასასვლელთან დაკავშირებით, ეს პრობელმაც მოგვარებულია. ტენდერი დამთავრდა ზღვაზე გასასვლელის კეთილმოწყობაზე. დღეს ან ხვალ დაიწყება მისი გაკეთება. ურეკში მოწესრიგებულია ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

ფაქტიურად დამთავრებულია გზის მშენებლობის სამუშაოები გომისმთის მიმართულებით და პრობლემა გადაადგილების თვალსაზრისით არ არსებობს. გზის სამუშაოები მიმდინარეობს ბახმაროში და სეზონის დასაწყისისთვის ეს მოწესრიგებული იქნება. რაც შეეხება ელექტროენერგიით მომარაგებას, ჩვენ მივიღეთ „ენერგოპროჯორჯიასაგან“ დადასტურება, რომ 10 დღის მანძილზე მთლიანად დამთავრდება ცენტრალურ ქუჩებში ხაზებისა და ბოძების აღდგენა. მუნიციპალიტეტი მზად არის, რომ ერთობლივად განახორციელოს ეს სამუშაოები. სამუშაოები მიმდინარეობს კეთილმოწყობისა და დასუფთავების თვალსაზრისით გრიგოლეთშიც. შემდეგ ყველამ ერთად დავათვალიეროთ, არის თუ არა შესრულებული პირობა მუნიციპალიტეტების მიერ. შეხვედრაზე ვისაუბრეთ ასევე ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. ჯერ-ჯერობით არც ერთ მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არ აქვს. ვფიქრობ, რომ პირიქით, შესაძლებელი იქნება დამატებითი შემოსავლები შემოვიდეს. რომლებიც მიმართული იქნება იმ პროექტების დასაფინანსებლად, რომელსაც მუნიციპალიტეტი ჩათვლის საჭიროდ.

—როგორ მიმდინარეობს სოციალური პროგრამები?

—მიმოვიხილეთ ასევე სოციალური პროექტებიც. რამდენიმე ათეულ ადამიანს დავეხმარეთ ოპერაციის თანადაფინანსებაშიც. ამ კუთხით იდეალური მდგომარეობა არ არის და ვერ ახდენ ყველა ადამიანის დახმარებას, მაგრამ მთავარია რიგითობა არ დაირღვეს და დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომელთაც ძალიან უჭირთ.

ძალიან საინტერესო პროექტებია გურიის სამივე მუნიციპალიტეტში, რომლებიც გულისხმობს უსახლკარო ოჯახებისათვის დახმარების გაწევას. მუნიციპალიტეტები გეგმავენ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, ასევე მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ფაქტიურად სახლი არ აქვთ შეუძინონ იგი. ეს სჯობს, ვიდრე დაეხმარო ნაწილობრივ ოჯახს, რომელმაც შემდეგ ვერ შეძლოს პრობლემის სრულად მოგვარება. ამის პრაქტიკა გვაქვს. ადრე ჩვენ „იავნანასთან“ ერთად რამდენიმე ოჯახს შევუძინეთ საცხოვრებელი სახლი.

— მუნიციპალური პროგრამით გაკეთდა ნაგომრისა და ცხემლისხიდის ბაღების შენობები, თუმცა ამჟამად ბაღი არც ერთგან არ ფუნქციონირებს. იგეგმება თუ არა ამ სოფლებში ბაღის გახსნა. ასევე, წინა წლებში განხორციელებული ზოგიერთი პროექტი წარუმატებელი დარჩა. თუნდაც არტეზიული ჭა ნაგომარში. ასეთ შემთხვევაში, ფული ტყუილად რომ არ გადაიყაროს, რამდენად გაეწევა მონიტორინგი მუნიციპალური პროგრამების განხორციელების პრიორიტეტსა და ხარისხიანობას.

—შეხვედრაზე საუბარი ამაზეც იყო, თავისთავად ყველაზე კარგი შემფასებელია მოსახლეობა. ჩვენ პროექტები მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ შევადგინეთ. რაც შეეხება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს, მიღება-ჩაბარების აქტს ხელი მოსახლეობამაც უნდა მოაწეროს. ხოლო ბაღებთან დაკავშირებით გეტყვით, ყველა ბაღი, რომელიც მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში გაკეთდა, სექტემბრიდან აუცილებლად დაიწყებს ფუნქციონირებას.

—როგორც ცნობილია გურიაში დაგეგმილია ჰესების მშენებლობა. როდის დაიწყება საშენებლო სამუშაოები და გქონდათ თუ არა საუბარი ენერგეტიკის მინისტრთან?

—გურიას ამ კუთხით დიდი პოტენციალი აქვს. ეს მარტო მთისპირში მდ. ბახვისწყალზე ჰესს არ ეხება, ანალოგიური შესაძლებლობაა ვაკიჯვარში, სადაც შესაძლებელია მდ. ნატანებზე კასკადური კაშხალების მოწყობა. საუბარია ზოტიჰესის შესახებ. მე ამ თემაზე მქონდა საუბარი როგორც ენერგეტიკის მინისტრთან, ასევე სხვა წარმომადგენლებთან. თქვენ ძალიან მალე გეცოდინებათ ენერგეტიკის სამინისტროდან როდის დაიწყება საკმაოდ დიდი სამუშაოები.

—ორი თვის წინ წვერმადღალაში აფრიკელი ბურების წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულები, რათა გაეგოთ რამდენად ხელსაყრელი გარემო იყო მათ ჩამოსასვლელად. თუ გაქვთ ინფორმაცია მოეწონათ თუ არა მათ ტერიტორიები და არის თუ არა მათი ჩამოსვლა დაგეგმილი?

—მე ვერ გეტყვით, არ მაქვს ამის ინფორმაცია.

—ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხანა ინდოელმა ინვესტორმა შეიძინა. იყო განცხადებები, შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები. გვაინტერესებს, ხელშეკრულება ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას ითვალისწინებს თუ უცხოელების?

—პირველი რაც მინდა გითხრათ, როდესაც ყოფილი მნაქანათმშენებელი ქარხანა იყიდებოდა, ყველას უნდოდა რომ ეყიდათ, დაეშალათ და ნაწილ-ნაწილ გაეყიდათ ეს შენობა, რის წინააღმდეგი მე ვიყავი. ქარხანა გაიყიდა ეკონომიკის სამინისტროს მიერ. ინვესტორს აქვს ვალდებულება ააშენოს საამქროები და დაასაქმოს მოსახლეობა. ამ ხალხმა პირიქით, შეინარჩუნა ქარხანა მანქანათმშენებლობის კუთხითაც და სხვადასხვა მიმართულებითაც აპირებენ მუშაობას. ჩვენი მოთხოვნაც იქნება ადგილობრივი მუშახელი დასაქმდეს. ისიც გასათვალისწინებელია, სხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი მუშახელი უფრო ძვირი დაუჯდებათ, აქ უფრო მარტივად შეიძლება საჭირო სპეციალისტების და მუშახელის მოძიება.

—დიდი პიარი იყო წამოწყებული ოზურგეთის „მერცხალის“ სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით. ამჟამად ეს პროექტი შეჩერებულია. კულუარებში ამბობენ, რომ ეს ორ მომენტს უკავშირდება: I. სწორი ხარჯთაღრიცხვის წარდგენა ვერ შეძლეს დროულად; II. დაპირისპირებაა ორ კლანურ დაჯგუფებას შორის...

—სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები არ შეჩერებულა, იგი არ დაწყებულა. როცა დაიწყება იგი გაკეთდება. ეს ზუსტად იმაზეა დამოკიდებული, ეს საუთები როდის იქნება მოწესრიგებული. ამ ხარჯთაღრიცხვას ფედერაცია აკეთებს. ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე სიჭინავამ დამიდასტურა, აუცილებლად დაიწყება და გაკეთდებაო. აქ თანხას ფეხბურთის ფედერაცია ხარჯავს და გვაქვს დასტური და აქ პრობლემა არ უნდა იყოს. რაც შეეხება კლანურ დაპირისპირებას, ამის შესახებ არ ვიცი.

—ამჟამად სამხარეო ადმინისტრაციის გაფართოებულ სხდომას ჟურანლისტებიც ესწრებოდნენ. აქამდე ეს სივრცე გარკვეული დროის განმავლობაში ჩაკეტილი იყო. არ იმართებოდა ბრიფინგები, პრეს-კონფერენციები...

— ვერ დაგეთანხმებით. ყველას შეუძლია მოვიდეს და მიიღოს ინფორმაცია, რომ მოსახლეობამ მეტი იცოდეს რა ხდება გურიაში, სამივე მუნიციპალიტეტში, ძალიან კარგია. ასევე იცოდნენ, რა პრობლემებია და როდის შეიძლება იგი გადაწყდეს. ეს არ არის ერთჯერადი ხასიათის. ჩვენ ეტაპობრივად ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ბუნებრივია კვლავ შევიკრიბებით და ერთად შევამოწმებთ რა როგორ კეთდება. მე ვთქვი, რომ ერთი კვირის შემდეგ ჩვენ დავიწყებთ სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმებას, რაშიც ჟურნალისტები იქნებიან ჩართული. თუ დაპირებებს არ შეასრულებენ, იქნება შესაბამისი რეაგირება.

—როგორც გუბერნატორი, ამ კუთხის მკვიდრი, რას თვლით რეგიონის №1 პრობლემად?

—პირველი პრობლემა ადამიანების დასაქმებაა. ის სოციალური მდგომარეობა, რომელიც დღეს არის გამოწვეულია ამ პრობლემით. გახსოვთ, რამდენიმე ხნის წინ საერთოდ მოუწესრიგებელი იყო ინფრასტრუქტურა. მისი მოწესრიგების გარეშე რთულია დასაქმებაზე საუბარი, რადგან ინვესტორი მოდის მაშინ, როდესაც ეს პრობლემები სახელმწიფოს მიერაა მოწესრიგებული. მე ვთვლი, რომ ჩვენ გვაქვს საკმაოდ კარგი პოტენციალი დასაქმების კუთხით. ეს ასე გამოიყურება; I. სოფლის მეურნეობა; II. ტურიზმი; 22 კმ. გურიის ზღვის ტერიტორია, ამის გარდა არის ორი მთის კურორტი, ბახმარო და გომისმთა. არის შესაძლებლობა გურიაში ტურიზმის კუთხით გადაიდგას სერიოზული ნაბიჯები; III. ადგილობრივი ჰიდრორესურსის გამოყენება, ჰესები აშენდეს და ა.შ.

— გმადლობთ.

„ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს სამსახურსა და ფერმერებს შორის“

—ბატონო გიგა, რა ხელმშემწყობი პროგრამებით ეხმარებით ამ ეტაპზე ფერმერებს, რას სთავაზობთ მათ?

—ჩვენ შევიმუშავეთ ფერმერის დღიური, სადაც გაწერილია ძირითადი კულტურები და მითითებულია ფერმერის მიერ შესასრულებელი აგროტექნიკური ღონისძიებები კულტურების მიხედვით. მის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სპეციალისტები, ჩართული იყვნენ ანასეულის ინსტიტუტის მეცნიერები. გაზაფხულზე გავდით სოფლებში, შევხდით ფერმერებს და ეს დღიურები გადავეცით.

—ჩვენთან რა პერსპექტივებია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის?

—ადგილობრივი ხელისუფლების პრიორიტეტი სოფლის მეურნეობაა. ადრე ძირითადად მეჩაიეობაზე ვიყავით ორიენტირებულები, რამაც შემდგომ ვაკუუმი გამოიწვია ამ დარგში. ჩვენ ფერმერებს ვურჩევთ გააშენონ ახალი კულტურები— კივი, ფეიხოა... რაც შეეხება ჩაის კულტურას, ამ კუთხითაც უნდა გადავდგათ ნაბიჯები. ჩვენთან ძალიან ბევრი მიკრო ფაბრიკაა, სადაც შესაძლებელია ხარისხიანი ჩაის პროდუქციის მიღება. ოველივე ამას კი უნდა ორგანიზება, რასაც უნდა აკეთებდეს ორი მხარე, ერთის მხრივ ფერმერი და მეორეს მხრივ ის, ვინც ამუშავებს ამ პროდუქციას. ჩვენ კი რეკომენდაციები უნდა მივცეთ ფერმერებს, თუ რა კულტურა გააშენონ, რა მიმართულებით შეასრულონ სამუშაოები., ამდენი ხნის განმავლობაში მიწა გაჩერებული იყო, იქ რაღაც პროდუქცია მოდიოდა და უცებ ააღორძინო იგი, ეს მარტივი საქმე არ არის. ეს არის პროცესი, რომელიც უკვე დაიწყო.

—კონკრეტულად რა კეთდება...

—დაიწყო ახალი კულტურების გაშენება. ერთ-ერთია ლურჯი მოცვი, რომელსაც დიდი მოთხოვნა აქვს მსოფლიო ბაზარზე. გარდა ამისა, მიმდინარეობს კივის და ფეიხოას მასიური გაშენება. დიდი ყურადღება ექცევა ბოსტნეულის მოყვანას, მის მოვლა-პატრონობას.

—თქვენ ამბობთ, რომ ხედებით ფერმერებს, მასში ალბათ წვრილ ფერმერებსაც გულისხმობთ...

—ჩვენ არ ვსაუბრობთ მსხვილ ფერმერებზე. მათ აქვთ თავისი პოლიტიკა და პროგრამა, ჰყავთ ინვესტორები, თუმცა მათთანაც ვთანამშრომლობთ. ძირითადი აქცენტი გაკეთებული გვაქვს იმ პატარა ამხანაგობებზე, რომლებსაც არც თანხა აქვთ და არც არავინ აძლევს რეკომენდაციებს. ჩვენ მათთან მჭიდრო კონტაქტი გვაქვს. მაგალითად, ამხანაგობა „ვაშნარმა,“ რომელსაც მერაბ მჟავია ხელმძღვანელობს, საკმაოდ დიდი სამუშაოები გასწია ახალი ჯიშის სიმინდის დათესვასთან დაკავშირებით.

—ჰიბრიდული თესლი ახსენეთ. მოხდა თუ არა ოზურგეთში მისი მასიური დათესვა?

—ვერ ვიტყვი, რომ ამ თესლით საყანე ფართობების მასიურად დათესვა მოხდა. ღა რაოდენობითაც მოვიდა ჩვენთან, მისი რეალიზაცია განხორციელდა.

საერთოდ ახალს ზედმეტ ყურადღებას აქცევს ხალხი. მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ ბევრს გაუჩნდა სურვილი რომ ამერიკული ჰიბრიდი სიმინდით დაეთესა საყანე ფართობი. ბოლოს ისეთი სურათი შეიქმნა, რომ სათესლე სიმინდი აღარ იყო. ჩვენ მათთან ერთად მოვიძიეთ თესლი და მივაწოდეთ.

—შეიძლება თავიდან ბევრს ჰქონდა სურვილი დაეთესათ ჰიბრიდი სიმინდი, მაგრამ თესლის შეძენა თანხებთან იყო დაკავშირებული. ამის თაობაზე რა ნაბიჯები გადადგით ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად?

—ამ თემაზე მქონდა საუბარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან. თავდაპირველად როცა გავდიოდით სოფლებში, ფერმერები აღნიშნავდნენ, რომ, როგორც თესლის შეძენა, ასევე მისი შემდგომი მოვლა-პატრონობა თანხებთან იყო დაკავშირებული და მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ.

ამისთვის არსებობს კრედიტები, რომელსაც გასცემდა „პროკრედიტბანკი.“ მაგალითად, ამხანაგობა „შეკვეთილმა“ რაღაც ტექნიკა ჩადო ბანკში და კრედიტი გამოიტანეს. შეიძინეს საწვავი, სასუქები, დახნეს, დათესეს. გარდა ამისა, ნატანების მიმდებარე ტერიტორიის 25-მდე ოჯახს დაეხმარნენ ხვნა-თესვის სამუშაოების ჩატარებაში რაღაც პირობით.

—თქვენი ინფორმაციით, ყველგან დათესა საყანე ფართობები?

—ვთქვათ, თუ მუნიციპალიტეტში 5000 ჰექტრამდე საყანე ფართობია, 4000 ჰექტრამდე ათვისებულია. დანარჩენი თუა არ დათესა, ეს ჩვენი კი არა, ფერმერის პოზიციაა. იგი კერძო საკუთრებაა და თუ აქვს საშუალება დათესავს, თუ არადა არა.

—როგორც ვიცით, დონორი ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებთ პროექტებს...

—ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა, მოვიძიოთ ინვესტორები და სხვადასხვა ფონდები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გაიღებენ თანხას. სოფლის მეურნეობაში თანხის ამოღება ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც 3-5 წელი ესაჭიროება. ერთწლიან კულტურებში ეს პროცესი უფრო მალე ხდება. ამ შემთხვევაში სიმინდზე ეფექტი უკვე წელს გვექნება.

შარშან ორ გამოფენაში მივიღეთ მონაწილეობა. ერთი ოზურგეთში—დიდ ფორუმში, შემდგომ ქ. ბათუმში მოვაწყვეთ ძალიან დიდი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ჩვენ ასევე დავამყარეთ კონტაქტი ამერიკის საერთაშორისო განვითარების საგენტოს სხვადასხვა ფონდებთან და ორგანიზაციებთან. მათთან შარშან, წლის ბოლოს გვქონდა შეხვედრა ოზურგეთში.ეს იყო **usaid**-ის პროგრამა სამქანიზაციო კუთხით, პროგრამის ავტორები შევახვედრეთ ადგილობრივ ფერმერებს. თანადაფინასების პრინციპით 100 000 დოლარის ფარგლებში სერიოზული პროექტი მოდიოდა. სამწუხაროდ, ჩვენს ფერმერებს თანადაფინანსების თანხა არ ჰქონდათ. ეს პროექტი ნატანებში მოიგო ერთმა პიროვნებამ.

ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა თხილოთან დაკავშირებითაც. აშშ ორიგონას სტატიდან იყო პიროვნება, მისტერ ვერნერი, რომელმაც თავისი ხედვა, თავისი პროექტი წარმოადგინა. შევახვედრეთ ფერმერები.

ამჟამად ახალ პროექტებს ველოდებით ამერიკის საერთაშორისო სააგენტოს განვითარების ფონდიდან. ჩვენ როგორც გვითხრეს, ძირითადი აქცენტი გაკეთებული იქნება თხილზე, მეღვინეობაზე, კენკროვანებზე და ლურჯ მოცვზე. ამ საკითხებზე მოსახლეობასთან ვიმუშავებთ. ჩვენ ყველა ფერმერთან გვაქვს კავშირი.

—რას ეტყვით ფერმერებს ჩვენი გაზეთის საშუალებით, რატომ უნდა ითანამშრომლონ თქვენთან?

— ჩვენთან თანამშრომლობს ორგანიზაცია „ორგანიკა,“ რომელიც უშვებს ბიოლოგიურად სუფთა სასუქებს. ჩვენ ისინი ადგილობრივ ფერმერებს შევახვედრეთ. ძალიან ბევრი ფერმერი კმაყოფილია ამ ახალი პროდუქციით.

ყველაფერი ნულიდან დაიწყო. არანაირი კოორდინაცია ხდებოდა სოფლის მეურნეობაში. ამ კუთხით მდგომარეობა გამოსწორდა. ფერმერებმა დაინახეს, მიტოვებული არ არის. თუ თანხა რა აქვთ, კრედიტის სახით შეუძლიათ მისი გამოტანა. ამით კი მას შესაძლებლობა ექნება ჩაატარონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები.

ჩვენ მოვახერხეთ იმედი ჩაგვესახა ფერმერებისათვის. თვეში 10-12 დღე გავდივართ სოფლებში. კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს სამსახურსა და ფერმერებს შორის.

ჩვენი დიდი სურვილია, ფინანსურადაც დავეხმაროთ ფერმერებს. ფონდები ჩვენთან ურთიერთობის სურვილს როცა გამოთქვამენ, ფერმერებს დავაწერინებთ პროექტებს, გამარჯვების შემთხვევაში კი მათ საშუალება მიეცემათ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აწარმოონ.

რას მოგვითხრობს კულტურის ძეგლები

ნუგზარ ოთარიშვილი

ამ თემაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში ფაზისის საერო აკადემიის გურიის ორგანიზაციამ და ბუკისციხის საჯარო სკოლამ სამეცნიერო სესია ჩაატარა. ეს ღონისძიება იმით იყო გამორჩეული, რომ იგი ბუკისციხეს, IV საუკუნის ტაძრის ნანგრევების ტერიტორიაზე ჩატარდა და ათეულობით მეცნიერი, ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმი, პედაგოგი, მოსწავლე თუ რიგითი მოქალაქე აწმყოდან მიუახლოვდნენ წარსულის გადასახედს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების მნიშვნელობაზე ისაუბრა ფაზისის აკადემიის გურიის ორგანიზაციის კურატორმა რეზო თედორაძემ, თუ რა ღონისძიებები ტარდება ისტორიული ძეგლების გადასარჩენად.

ფაზისის აკადემიის მუშაობაზე ისაუბრა ამ აკადემიის პრეზიდენტმა ნუგზარ ნადარაიამ.

ბუკისციხეზე შეკრებილებმა დაბადებიდან 85 წლის იუბილე მიულოცეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იური სიხარულიძეს. იუბილარს მიესალმა ჩაისუბნის სკოლის დირექტორი, პოეტი ლიანა თოდუა. გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი.

იური სიხარულიძემ ისაუბრა გურიის ისტორიაზე, ბუკისციხის მნიშვნელობაზე, 1964 წელს აქ ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებზე და გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ ბუკისციხის ნაქალაქარს სერიოზული შესწავლა არ მომხდარა. იუბილარს და აქ შეკრებილთ მიესალმნენ ბუკისციხის სკოლის მოსწავლეები (დირექტორი ციალა მახარაძე). ბუკისციხეზე შეკრებილნი ისმენდნენ მარიამ ბუკისციხელის ვაჟკაცობის ისტორიას, ეფერებოდნენ წარსულს.

* * *

ღონისძიებამ ბუკისციხიდან მოსაზღვრე იანეულში გადაინაცვლა. სტუმრებმა ჯერ გურის ტბა მოინახულეს. შემდეგ კი იქვე ახლოს კლდიდან მოჩუხჩუხე „სიყვარულის წყაროს“ ესტუმრნენ და საზეიმოდ გახსნეს იგი. ბატონ რეზო თედორაძის თქმით, სოფლის ყოფილი რწმუნებულის ერეკლე ბერიშვილის ინიციატივით მოწესრიგდა ეს წყარო, გაკეთდა შესაბამისი დაფა, რადგან ეს წყარო მოწმეა აქაური გოგო-ბიჭების სიყვარულის გამჟღავნებისა, რასაც ათეულობით წლების მანძილზე არაერთი ლამაზი ოჯახის შექმნა მოჰყვა ბუკისციხეში, იანეულში და ა.შ.

იმ დროს, როცა ერთმანეთის სიყვარულის დეფიციტია, ჩოხატაურელებმა მართლაც კარგი საქმე გააკეთეს, ცოცხალი ძეგლი დაუდგეს სიყვარულს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების სფეროს დელეგაციის ვიზიტი ლიტვაში

მიმდინარე წლის 18 ივნისიდან 25 ივნისამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს ხუთკაციანი დელეგაცია ვიზიტით ლიტვის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ გამგებლის მოადგილე კულტურის სფეროსა და სოციალურ საკითხებში ლავრენტი ქვილორია, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის და სოციალური საკითხების კომისიის თავმჯდომარე ირინა საჯაია, ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგე ლიანა ბაქანიძე და მუნიციპალური კულტურის ცენტრის დირექტორი კობა ბანძელაძე. ვიზიტი ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევრო კავშირის პროექტის ფარგლებში განხორციელდა. იგი მიზნად ისახავდა ოზურგეთის კულტურის სფეროს ხელმძღვანელებისათვის როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე ლიტველი კოლეგების პრაქტიკული საქმიანობის გაცნობას. ჯგუფმა ქ. პანევეჟისის ხელოვნების კოლეჯის როკიშკისის ფილიალში გაიარა კულტურის სფეროს მარკეტინგისა და მენეჯმენტის თეორიული კურსი და მიიღო შესაბამისი სერთიფიკატი. პროექტით გათვალისწინებულ პროგრამას ხელმძღვანელობდა ქ. როკიშკისის კულტურისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ბატონი პეტრას ბლაჟევიჩიუსი. ჯგუფს საშუალება მიეცა ახლოს გაცნობოდა ლიტვისა და ლატვიის რესპუბლიკების სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებს, ფოლკლორულ ანსამბლებს, თეატრალურ ჯგუფებს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებს, სოფლის ტურიზმის ობიექტებს, ბიბლიოთეკებსა და კულტურის ცენტრებს, ასევე მონაწილეობა მიეღო სახალხო დღესასწაულში, რომელიც 23 ივნისს იმართება ხოლმე ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში. დელეგაცია ოფიციალურად მიიღო ქალაქის მერმა და სხვა თანამდებობის პირებმა. შეხვედრამ გულთბილ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. უკვე დაგეგმილია როკიშკისის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლის მონაწილეობა გიორგი სალუქვაძის სახელობის II საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ოქტომბრის თვეში გაიმართება. გამოითქვა მოსაზრება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმისა და როკიშკისის მუზეუმების ერთობლივი პროექტების განხორციელების თაობაზე. გამოიკვეთა ასევე ინტერესები ტურიზმის სფეროში. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულ ვიზიტს აუცილებლად ექნება გაგრძელება უკვე ცალკეული სფეროების მიხედვით. ჯგუფის სახელით მადლობა გვინდა გადავუხადო ლიტველ კოლეგებს განსაკუთრებული კეთილგანწყობისათვის, რომელსაც ისინი ყოველ წუთს იჩენდნენ დელეგაციის მიმართ.

ანსამბლი „იადონი“ არტ-გენის 2011 საპატიო ნევრი

26 ივნისს, ქალაქ ფოთი „არტ-გენი2011“-ის ფოლკლორის ფესტივალს მასპინძლობდა, რომელიც მალთაყვაში, ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაიმართა. ფესტივალს ბევრი სტუმარი ჰყავდა, როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან.

ფესტივალის პირველი ნაწილი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტს დაეთმო. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სცენაზე სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები ფოთიდან, აბაშიდან, სენაკიდან, ხობიდან, წალენჯიხიდან, ზუგდიდიდან, მარტვილიდან, ლანჩხუთიდან, ჩოხატაურიდან.

სპეციალურად მიწვეულთა შორის იყვნენ: ანსამბლი „რეგიონი“ რუსთავიდან, თბილისიდან თსუ „გორდელა,“ და „გეორგიადა,“ თბილისის საბრძოლო ფოლკლორის თეატრი. ასევე ოზურგეთიდან– სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „იადონი,“ რომელმაც შეასრულა რამდენიმე ფოლკლორული სახასიათო სიმღერა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფესტივალის ორგანიზატორებმა ანსამბლი „იადონი“ წარადგინეს, როგორც ყველა ჩატარებული არტ-გენის ფესტივალის საპატიო ანსამბლი. კინოსტუდიამ გადიღო სპეციალური კლიპები ანსამბლების მონაწილეობით, მათ შორის „იადონის“ კლიპიც.

ფოლკლორის ფესტივალის I ნაწილი თსუ „გორდელამ“ და ფოთის ანსამბლმა „ფაზისმა“ დახირეს; II ნაწილი ანსამბლ „რეგიონის,“ „ჩვენებურების“ და ზუმბას კონცერტს დაეთმო.

ანსამბლი „იადონი“22 ივლისს თბილისში, არტ-გენის დასკვნით კონცერტზე მიიწვიეს.

პ.ს. ახლახან ანსამბლ „იადონის“ ხელმძღვანელს ბიძინა მჟავიას ღირსების ორდენი გადასცეს. ვულოცავთ!

ფაზისის საერო აკადემიის რიგითი ადამიანის „ფაზისის“ საერო აკადემიის

ფანცხადება

ყველას, ყველას, ყველას...

ფაზისის საერო აკადემიის, როგორც საზოგადოებრივ-სამეცნიერო ორგანიზაციის დანიშნულება და უმთავრესი საზრუნავია კოლხური, ე.ი. ქართული ცივილიზაციის კვლევა, კოლხეთისა და ქართლის ისტორიის შესწავლა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მეცნიერული მემკვიდრეობის პროპაგანდა და გავრცელება, რამეთუ, ჭყონდიდელ-ცოტნეიდელები – „აღმსარებელნი მცნებისა უფლისა დამდებელნი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასისათვის“ მოვალენი არიან კონკრეტული საქმეებით განასახიერონ ქართული სახელმწიფოებრივი 3000 წლოვანი ისტორიის გამოცდილებიდან გამომდინარე–„მთავარში -ერთობა, სადაოში-თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში-სიყვარული!“ რადგან გვწამს ერთიანი ქართული ფენომენი მტრისათვის სახრჩობელა, მოკეთისათვის ღვთის ნაკურთხი უძლეველი წმინდა ჯვარი. პოლემიკამ უფლის მეცხრე მცნების დარღვევამდე არ უნდა მიგვიყვანოს, მართლადცა „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, ნურცოდეს გაუხარია“ ამინ! „ფაზისის“ საერო აკადემია, მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებული პროგრამისა და წესდების შესაბამისად ითანამშრომლებს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ერთიანი და განუყოფელი დედა საქართველოს სადიდებლად. გფარავდეთ ღმერთი. ამინ!

ულრმესი პატივისცემით, ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდიუმისა და ჟურნალ „ცოტნეიდელის“ საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს სახელით,
ეკონომიკის დოქტორი, ფოთის საპატიო მოქალაქე
ნუგზარ ნადარაია.

2011 წლის 12 მაისი, ქრისტეშობიდან, საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებელი წმინდა ანდრია მოციქულის დღე.
თბილისი, მარტვილი, იყალთო.

ფაზისის აკადემია ფართოვდება

ფაზისის საერო აკადემიას პირველადი ორგანიზაციები გაჩნია რეგიონებში. გურიის ორგანიზაციის ხელმძღვანელია პროფესორი გიზო ჭელიძე, კურატორი რეზო თედორაძე. იგი იმავდროულად ჩოხატაურის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. ლანჩხუთის ორგანიზაციის ხელმძღვანელია სოფო ჭელიძე, ოზურგეთის– ნუგზარ ასათიანი.

ამ ცოტა ხნის წინ ფაზისის აკადემიის წევრად მიიღეს და ოზურგეთის ორგანიზაციის კურატორად დანიშნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი მანანა ლომაძე. მას შესაბამისი მოწმობა საზეიმო ვითარებაში ბატონმა რეზო თედორაძემ გადასცა.

იყიდება

დახლმაცივარი მაღაზიისათვის საუკეთესო მდგომარეობაში (1 თვის ნახმარი),

ტელ: 597-78-36-25 598 84-84-82

საზოგადოებრივი დარბაზი კიდევ ერთხელ შეიკრიბა

მარი კოძოევი

საზოგადოებრივი დარბაზის მორიგ შეხვედრაზე დარბაზის წევრებმა და საკრებულოს თავმჯდომარემ არაერთ საკითხზე იმსჯელეს და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებები გაუზიარეს ერთმანეთს.

შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა ქ. ოზურგეთში დაგეგმილი და უკვე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები იყო. ალეკო მამეშვილის თქმით, გზების კონკრეტული მონაკვეთების მოასფალტება, ნაპირსამაგრი სამუშაოები, ორი მრავასართულინი ბინის გადახურვა, ქალაქის ცენტრში ფანტანის გაკეთება და სკვერის გაშენება იქნება ოზურგეთლებისათვის უახლოესი მომავლის პერსპექტივა. საკრებულოს თავმჯდომარემ სოფლის მხარდამჭერი პროექტებით მიმდინარე სამუშაოებზე ისაუბრა.

საზოგადოებრივი დარბაზის შეხვედრაზე იმის შესახებაც გახდა ცნობილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი საზაფხულო სკოლის დაარსებას აპირებს, რომელიც ოზურგეთელ ბავშვებს ზაფხულის ცხელი დღეების საინტერესოდ გატარება შესთავაზებს.

შეხვედრაზე დიდი დრო იმ წესის განხილვას დაეთმო, რომლითაც კურორტ ურეკში დასუფთავების მოსაკრებელი უნდა დაწესდეს. რა რაოდენობის თანხის გადახდა უნდა დავალოს ერთ სულ დამსვენებელზე დიდი და მცირე ზომის საოჯახო ტიპის სასტუმროების მეპატრონეებს, ეს იყო მთავარი კითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამ თემაზე გამოითქვა ყველაზე მეტი აზრი და იდეა, რომელიც როგორც ალეკო მამეშვილმა თქვა, წარედგინება საკრებულოს ბიუროს, სადაც რჩევები და წინადადებები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

ფესტივალი - კონკურსი „ა-გიდელა-აგუნა“ ურეკში

ნუგზარ ოთარიშვილი

ქართული-ხალხური ცეკვის ტრადიციული ფესტივალი-კონკურსი „ა-გიდელა-აგუნა“ დაბა ურეკში, კულტურის სახლში 2 დღეს მიმდინარეობდა. ფესტივალის ორგანიზატორი გურიის მხარის ტურიზმისა და ექსკურსიების ბიურო, შპს „გურია თრეველი იყო.“

ფესტივალი გასულ პარასკევს გაიხსნა. ურეკის კულტურის სახლის წინ ფესტივალის მონაწილე ანსამბლებმა წარდგენა გააკეთეს საზოგადოების წინაშე. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ანსამბლები კახეთიდან, იმერეთიდან, სამცხიდან, აჭარიდან, სამეგრელოდან, გურიიდან.

გაზეთ „ალიონთან“ საუბარში ასპინძელმა სტუმრებმა,რომლებიც აქ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამცხედ“ იყვნენ წარმოდგენილი, კმაყოფილება გამოთქვეს ფესტივალის ფორმატისა და მასპინძელთა ყურადღების გამო.

მეორე დღეს ურეკის კულტურის სახლში კონკურსი გაიმართა.

ჟიურის (კონკურსების ორგანიზაციის დირექტორი ნუნუ შათირიშვილი, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავე ალექსანდრე ქართველიშვილი, სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი მალხაზ სულხანიშვილი) ფართო არჩევანი ჰქონდათ გამარჯვებულების გამოსავლენად.

ფესტივალის გრან-პრი ქ. ფოთის და ქ. თელავის ქორეოგრაფიულ ანსამბლებს „როკვას“ და „მართვეს“ მიენიჭათ.

I ადგილი – ქ. ფოთის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამებას; (ამ ანსანბლს ააქციო საზოგადოება „იმედის“ სპეციალური პრიზი გადაეცა);“ II–კახეთის რეგიონის სოფ. ახალსოფლის ანსამბლს; III–ბათუმის „ფერხისას.“

სპეციალური პრიზი გადაეცათ ზესტაფონელ ინდივიდუალურ შემსრულებელს ელენე ძაბირაძეს და კონკურის ყველაზე პატარა მონაწილეს ანსამბლ „შილდიდან“–დათუნა მჭედლიშვილს. (ეს პრიზი ოზურგეთის პროკურატურამ დააწესა და პროკურორის მოადგილე მალხაზ სირაძემ გადასცა.)

„გურია თრეველის“დირექტორმა დავით კვერღელიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ფესტივალის კარგად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ურეკის კულტურის სახლის დირექციას (ნუგზარ დვალიშვილი) და ურეკის პოლიციას.

როგორც მან გვითხრა, „გურია-თეველი“ აგვისტოში კურორტ გომისმთაზე ქართული სპრძოლო და აღმოსავლური ორთაბრძოლების ფესტივალს გეგმავს, რომელსაც პირობითად „ჭინჭაოს ფესტივალს“ უწოდებს.

ქოლეოქრაფიის დიდ „მაესტროს“

სულითა და გულით მინდა მივულოცო დაბადებიდან 70 წელი დიდ ქორეოგრაფს, ნამდვილ „მაესტროს,“ ბატონ ჯუმბერ დუნდუას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, კვლავაც და კვლავაც წარმატებებს.

მახსოვს, როცა მასთან ბავშვები დამყავდა, მქონდა სიამოვნება, სასწავლო პროცესისათვის მეცქირა. ქართული ცეკვა და სიმღერა ეხმარება მოზარდს ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში. როცა ვუმზერ მის აღზრდილებს, გულში სითბო მეღვრება, როგორ დადიან, რა ლამაზები არიან, რა ჩამოყალიბებული აღნაგობა აქვთ. დარწმუნებული ვარ, ისინი უკვე ქართული სულით არიან გაჟღენთილები.

დიდია ბატონი ჯუმბერის დამსახურება, ჩვენ თითქმის ერთდროულად დავიწყეთ მოღვაწეობა ოზურგეთში და მე მოწმე ვარ მისი თავდადებული მუშაობისა.

ამას დაფასება სჭირდება, ასეთი მამულიშვილების სახელი დავიწყებას არ მიეცემა.

პატივისცემით, **ვახტანგ მამეიშვილი,**
მხატვარი.

გამოსამშვებ ღონისძიებაზე

თეონა ჩხარტიშვილი

საოცარი გარემო,ბავშვების გაცისკროვნებული სახეები,მაგრამ ამავე დროს მათ თვალებში ჩამდგარი ნაღველი საყვარელ ხათუნა მასწავლებელთან განშორების გამო. ლექსები, სიმღერები, ცეკვები ერთმანეთს ენაცვლებოდა ანასეულის №5 საჯარო სკოლის გამოსაშვებ ღონისძიებაზე. ბავშვებმა არაერთი კარგი ნომერი შეასრულეს და დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს. თავიანთ ემოციებს ზოგი ლექსით,ზოგი კი სიმღერითა და ცეკვით გამოსცემდა. სლაიდებით კი ნაჩვენები იყო,თუ რა ეტაპები გაიარეს, სანამ მათ ცხოვრებაში ეს ლამაზი დღე დადგებოდა. დღე,რომელიც დაკავშირებულია ახლის ძიებასთან, განათლების მიღებასთან, მათ პიროვნებად ჩამოყალიბებასთან.

სკოლის დირექტორმა მერი საბაშვილმა მიულოცა მათ ეს ღირსშესანიშნავი დღე. კლასის დამრიგებელს ხათუნა გობრონიძეს კი მადლობა გადაუხადა მათზე გაწეული ამგისათვის.

ბავშვებს გზა დაულოცეს ასევე პედაგოგებმა,სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა და მშობლებმა.

„შევინარჩუნოთ სუფთა გარემო“

ქ. თბილისში,ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო გალერეაში გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკური თემაზე „შევინარჩუნოთ სუფთა გარემო.“ამ კონკურსში ოზურგეთის სამხატვრო სკოლის 21 მოსწავლე 35 ნამუშევრით მონაწილეობდა.

5 ივნისს, ბუნების დაცვის მსოფლიო დღეს ჟიურიმ შეაფასა ნამუშევრები. ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის თამთა ანდღულაძის ნამუშევარმა „გადავარჩინოთ დედამიწა!“ II ადგილი მოიპოვა,(პედაგოგი თამაზ დარჩია).

გამოფენის 12 საუკეთესო ნამუშევრის სიაში შევიდა ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლის მარიამ მათითაიშვილის ნამუშევარი. (პედაგოგი რევაზ ჯაში).

თამთა ანდღულაძე დასაჩუქრდა დიპლომით, 200-ლარიანი „თი-ბი-სი“ ბანკის ვაუჩერით. ორთავე გოგონას გადაეცა სათაფლიის ნაკრძალის 10-კაციანი საგზური.

გამოფენის ორგანიზატორები გეგმავენ 20-12 წლისათვის გამოუშვან კალენდარი, რომელშიც შევა მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრები.

მეგობრის ხსოვნას

(ზურაბ გადახაბაძის გახსენება)



ანსამბლ „შვიდკაცას“გარდაცვლილ წევრთა სიას კიდევ ერთი, შესანიშნავი პიროვნება–ზურაბ გადახაბაძე შეემატა.

ზურაბი გამოირჩეოდა თავისი ინტელექტით, ცოდნით და რაც მთავარია ადამიანობით. რაოდენ დასანანია, რომ ცხოვრების სირთულემ ის იძულებული გახადა საცხოვრებლად გადასულიყო ოჯახიდან მოშორებით, სხვა მხარეს.

შესანიშნავი ინჟინერი იყო, თავისი საქმის ღრმად მცოდნე. სწორედ ამიტომ უალკოჰოლო ქარხანა-კომბინატი „ბახმაროს“ დამაარსებელმა და დირექტორმა, მანუჩარ მამეიშვილმა დანიშნა კომბინატის მთავარ ინჟინრად. როცა მანუჩარი შემხვდებოდა, სულ მეუბნებოდა, ეს რა კარგი კაცი მომიყვანეთ, ისეთი კაცია, მთელს წარმოებას ვანდობო. ამისთვის შენ გიხდი მადლობასო.

მახსენდება ერთი ასეთი ამბავი. 1970 წელს ანსამბლი „შვიდკაცა“ საგასტროლოდ მიემგზავრებოდა იტალიაში. ანსამბლის ხელმძღვანელმა მიხეილ შავიშვილმა წასვლის წინ გამოგვიცხადა: – ბიჭებო! ადგილები შეგვიმცირეს და ანსამბლიდან ერთ-ერთი უნდა დარჩესო! შეწუხებული იყო, როგორ მოვიქცე არ ვიცი, მე ამას ვერ ვიტყვი, ვინ უნდა დავტოვო, –ერთად გადავწყვიტოთო. თუმცა მას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა, ვინ უნდა დარჩენილიყო.

შეიქმნა დიდი უხერხული სიტუაცია. როგორი სათქმელია ადამიანისათვის, რომელიც ჩემოდნითაა მოსული წასასვლელად და უთხრა: –შენ დარჩებიო! ამ დროს ადგა ზურიკო გადახაბაძე და თქვა: –მე ორი თვეა რაც ანსამბლში მოვედი, სხვა რატომ უნდა დარჩეს, მე დავრჩებიო. აიღო თავისი ჩემოდანი, გზა დაგვილოცა და წავიდა. ასეთი ადამიანი ყველა ვერ იქნებოდა.

ბევრი სიკეთე ახსოვს მისგან ანსამბლის წევრებს. ზოგს ფინანსურად ეხმარებოდა. სუფრასთან თუ ვიჯექით, წინასწარ იხდიდა ფულს–მე თქვენზე მეტი მაქვსო.

იგი ნამდვილად დაგვაკლდა ყველას, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც არ კვდებიან. სწორედ ასეთი იყო ჩვენი ზურაბი

ტრისტან სიხარულიძე,
ანსამბლ „შვიდკაცას“
ხელმძღვანელი.

სტაჟირებულ მოსწავლეებს სერთიფიკატები გადაეცათ

პროექტ „ჰარმონიას“ მიზანი (მას აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტო აფინანსებს) სამოქალაქო კუთხით პედაგოგებისა და მოსწავლეების ინფორმირებულობის გაზრდაა. მასში მთელი ქვეყნის მასშტაბით 473 სკოლა მონაწილეობს,აქედან 30 გურიის რეგიონის სკოლაა. აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი ეტაპი მოსწავლეთა სტაჟირება იყო, რომელიც რამდენიმე დღის წინ დასრულდა.

ამ პროექტში მონაწილე გურული ბავშვების სერთიფიკატებით დაჯილდოება გურიის რესურსცენტრში გასული კვირის ხუთშაბათს შედგა. სტაჟირების პროგრამაში 15 მოსწავლე მონაწილეობდა. თითოეულმა მათგანმა საკუთარი ინტერესის სფეროს მიხედვით აირჩია გურიაში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციიდან ერთ-ერთი და სწორედ აქ გაიარა სტაჟირების ერთვიანი მონაკვეთი.

როგორც გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გვითხრეს, მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გამოიწვია. ყველაზე მეტმა ბავშვმა სწორედ ამ ორგანიზაციაში გაიარა სტაჟირება.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე